უ ძ რ ა ვ ი ქ ო ნ ე ბ ი ს ჩ უ ქ ე ბ ი ს
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი, ___ _____, 2024წ.

ფ/პ _____ _____ (პ/ნ _____), შემდეგში წოდებული როგორც – **„მჩუქებელი“**, ერთის მხრივ და **ფ/პ** _____ _____ (პ/ნ _____), შემდეგში წოდებული როგორც – **„დასაჩუქრებული“**, მეორეს მხრივ, ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში – **„ხელშეკრულება“**) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **„ხელშეკრულების“** საფუძველზე **„მჩუქებელი“,** უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადასცემს **„დასაჩუქრებულს“** უძრავ ქონებას (შემდეგში - **„უძრავი ქონება“**) მდებარე ქ. _____ -ში, _____ ქ. N_____ -ში, რომლის ტექნიკური მახასიათებლებია:

საკადასტრო კოდი:

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:

დაზუსტებული ფართობი:

შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი:

მისამართი:

1.2. **„უძრავ ქონება“**, რომელიც გადაეცემა **„დასაჩუქრებულს“**, უფლებრივად უნაკლოა: არ ადევს ყადაღა და არ არის დატვირთული გირავნობა/იპოთეკით და მასზე არ არის რეგისტრირებული რაიმე სახის ვალდებულება, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განაცხადის რეგისტრაციის #---------- _ --------, მომზადების თარიღი: ---------- .

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

2.1. **„მჩუქებელი“** ვალდებულია:

2.1.1. საკუთრებაში გადასცეს **„დასაჩუქრებულს“ „უძრავი ქონება“**;

2.1.2. გადაიხადოს **„უძრავ ქონებაზე“** ჩუქების მომენტამდე დარიცხული კომუნალური და სხვა სახის გადასახადები;

2.1.3. მიაწოდოს **„დასაჩუქრებულს“** ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, დოკუმენტური), რაც დაკავშირებულია **„ხელშეკრულების“** საგანთან, მათ შორის, **„უძრავი ქონების“** მდგომარეობისა და ხარისხის შესახებ;

2.1.4. შეასრულოს **„ხელშეკრულებითა“** და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2.2. **„დასაჩუქრებული“** ვალდებულია:

2.2.1. გაიღოს **„უძრავ ქონებაზე“** საკუთრების უფლების გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯები;

2.2.2. შეასრულოს **„ხელშეკრულებითა“** და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

3. გადაცემული „უძრავი ქონების“ ანაზღაურება:

3.1. „დასაჩუქრებულს“ არ ეკისრება **„მჩუქებლისთვის“** რაიმე სახის ანაზღაურების (ფასის, ღირებულების, კომპენსაციის, სარგებლის და სხვა) გადახდის ვალდებულება;

3.2. „დასაჩუქრებულს“ არ ეკისრება **„მჩუქებლის“** სასარგებლოდ რაიმე სახის ქმედების შესრულებს (მ.შ. მიღებული საჩუქრის სანაცვლოდ საქონლის გადაცემა ან მომსახურების გაწევა ან სხვა ქმედების შესრულება) ვალდებულება.

4. „ხელშეკრულების“ ძალაში შესვლა:

4.1. **„ხელშეკრულება“** ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ **„ხელშეკრულებით“** ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე;

4.2. **„ხელშეკრულება“** შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალი მქონე 3 ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს, ხოლო ერთი ეგზემპლარი წარედგინა საჯარო რეესტრს **„უძრავ ქონებაზე“** საკუთრების უფლების ცვლილების რეგისტრაციის მიზნით.

„მჩუქებელი“

_____ /_____ _____ (პ/ნ _____)/

„დასაჩუქრებული“

_____ /_____ _____ (პ/ნ _____)/